კოინციდენციის თეორია

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.03.07

ნანა ბოკუჩავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0005-4561-0421
E-mail: nana.bokuchava69@gmail.com

რეზიუმე

პედაგოგიკის კვლევითი არეალის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები წარმოადგენს. მისი სათანადოდ წვდომის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია საგანმანათლებლო სისტემის მყარი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბება. ის, თუ რა განსაზღვრავს ადამიანის მშვინვიერ-სულიერი წყობისა და ქცევის ფორმათა განვითარების ზოგად და ინდივიდუალურ თავისებურებებს, საუკუნეთა მანძილზე ხშირად ყოფილა მეცნიერული მსჯელობისა და დავის საგანი, რასაც განაპირობებდა მისი სხვადასხვა რაკურსით ჭვრეტა და შესაბამისად, სხვადასხვა ფილოსოფიური კონცეფციითა და მასთან მისადაგებული მეცნიერული პოზიციით წარმოჩენა. განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენის პრობლემასთან დაკავშირებულ სამ საყოველთაოდ აღიარებულ თეორიაზე (ნატივისტური, ემპირისტული, კონვერგენტული) აშკარად უპირატესობს ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის დღემდე ნაკლებად ცნობილი კოინციდენციის თეორია. მასში სიღრმისეულადაა გააზრებული ის მოჩვენებითი ანტინომია, რომელიც არსებობდა ორ, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავ დებულებათა (მემკვიდრეობითობა თუ გარემო პირობები) შორის, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე ითვლებოდა თანაბარ ჭეშმარიტებად და განვითარების ფენომენთან მიმართებაში საკუთარ ტრაექტორიას მოიცავდა. ვფიქრობთ, წარმოდგენილი თეორია უნივერსალურია და ვრცელდება, როგორც განვითარების მთლიან პროცესზე, ისე მის ცალკეულ გამოვლინებებზე.

საკვანძო სიტყვები: კოინციდენციის თეორია, მემკვიდრეობითობა, გარემო, განვითარება, პედაგოგიკა.

ციტირებისთვის: ბოკუჩავა ნ. (2023), **კოინციდენციის თეორია,** ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 16 (3), 49-52. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk

COINCIDENCE THEORY

Nana Bokuchava
PhD student Georgian Technical University
https://orcid.org/0009-0005-4561-0421
E-mail: nana.bokuchava69@gmail.com

RESUME

One of the fundamental issues of the research area of pedagogy is the determining factors of development. In fact it is impossible to establish solid theoretical-methodological foundations of the educational system without proper access to it. The factors which determine both the general and individual characteristics of the development of human spiritual-spiritual structure and forms of behavior, has often been the subject of scientific discussion and dispute throughout the centuries. This was caused by its contemplation from different perspectives as well as presentations of different philosophical concepts and the scientific position.

The little-known coincidence theory of the famous Georgian psychologist Dimitri Uznadze clearly has obtained an advantage over the three generally recognized theories (nativist, empiricist, convergent) related to the problem of determining the factors of development. It has a deep understanding of the imaginary antinomy, which existed between two mutually exclusive provisions (heredity or environmental conditions) and was considered as an equal truth, containing its own trajectory in relation to the development phenomenon. We think that the presented theory is universal and applies to both the entire process of development and to its individual manifestations.

Key words: coincidence theory, heredity, environment, development, pedagogy.

For citation: Bokuchava N., Theory of Coincidence, Journal „Business and Legislation“, 16 (3), 49-52. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk.

შესავალი

მეოცე საუკუნის ოციან წლებში დიმიტრი უზნაძემ წარმოადგინა კოინციდენციის თეორია, როგორც ყოველი დროის ერთობ აქტუალური პედაგოგიკური პრობლემის - განვითარების პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორების, მემკვიდრეობითობისა და გარემოს, ურთიერთმიმართების - გადაწყვეტა. ეს თეორია, მარქსიზმ-ლენინიზმისგან განსხვავებით, ადამიანს მემკვიდრულ-იდეალისტურ ჭრილშიც განიხილავდა და შესაბამისად, არა თუ ვერ ჯდებოდა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ ყალიბში, არამედ არსობრივად უპირისპირდებოდა კიდეც მას. მიუხედავად ამისა, საბედნიეროდ, იგი გადაურჩა ჟამთა სიავეს, მაგრამ სამწუხაროდ, კარგა ხანს უცნობი იყო არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ იმათთვისაც კი, ვინც პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, უშუალოდ იყო დაკავშირებული განვითარების ფენომენის პრობლემატიკასთან.

კოინციდენციის თეორია 1933 წელს გამოცემულ წიგნში „პედოლოგია“, გაშლილი სახით დაიბეჭდა, თუმცა მისი ადგილი დ. უზნაძის ზოგადფსიქოლოგიურ სისტემაში ბოლომდე დაზუსტებული არ არის. შესავალში ავტორი მიუთითებდა, რომ „წიგნში ე.წ. პირველი ბავშვობის პედოლოგიაა მოცემული. მოკლე ხანში ცალკე წიგნის სახით მეორე ბავშვობის პედოლოგიაც უნდა გამოქვეყნდეს“ (უზნაძე, 1933). სავარაუდოდ, ამ უკანასკნელში უნდა განვრცობილიყო ავტორის მიერ ნაშრომის ძირითად საფუძვლად მიჩნეული თეორიული კონცეფციები, მათ შორის კოინციდენციის თეორიაც. 1936 წელს საბჭოთა კავშირში, სპეციალური დადგენილებით, პედოლოგია ცრუ მეცნიერებად გამოცხადდა და აიკრძალა. შესაბამისად, უზნაძემ ერთგვარად დაამუხრუჭა იმ საკითხების კვლევა, რომლებიც პედოლოგიის მიმართულებით ჰქონდა დაყენებული.

ძირითადი ნაწილი

კოინციდენციის თეორიის თანმიმდევრულად წარმოსაჩენად და გასააზრებლად, სასურველია, რამდენადმე შევეხოთ მის წინარე თეორიებს.

XVII-XVIII საუკუნეებში გამოიკვეთა ორი უკიდურესი შეხედულება: ნატივიზმი (ლათ. Native-თანშობილი) და ემპირიზმი (ბერძ. Empiria-ცდა). ნატივისტური თვალსაზრისით, განვითარება მხოლოდ მემკვიდრეობით თანშობილ სტრუქტურათა გაშლა-რეალიზაციაა. ადამიანის ყველა მახასიათებელი მემკვიდრეობით განისაზღვრება და მათ თვისებრივ განვითარებაზე არანაირ გავლენას არ ახდენს გარემო. განვითარება მემკვიდრეობით მოცემული პიროვნულის მხოლოდ ინდივიდუალური ზრდაა; იგი ინდივიდს ახალ თვისებრივ ნიშნებს არ სძენს. გერმანელი ფილოსოფოსის გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის (1646-1716) ცნობილი გამონათქვამი „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, სწორედ მემკვიდრეობითობაზე ორიენტირებულილ თვალსაზრისია. ნატივისტური თეორიის რადიკალურად საწინააღმდეგო ემპირისტული პოზიცია, რომელიც განვითარების ყველა მახასიათებელს გარემოს შედეგად მიიჩნევს, წარმოდგენილია ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის (1632-1704) ნააზრევში. მან განამტკიცა პრინციპი, რომ ადამიანის ცნობიერება დაბადების მომენტში არის სუფთა ფურცელი, ანუ როგორც არისტოტელე იტყოდა - დაუწერელი, სუფთა დაფა (Tabula raza) და ყველაფერი რაც მასშია, გამოცდილებით არის მიღებული. აღსანიშნავია, რომ ნატივისტურ და ემპირისტულ თეორიებს, ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტები მოეპოვებათ, რომ მათ გასაბათილებლად არცერთს არაფრის თქმა არ შეუძლია; თუმცაღა, არანაკლებ დამარწმუნებელია ის ფაქტებიც, რომლებიც მათ სასარგებლოდ მეტყველებენ. დ. უზნაძის აზრით, „ორივე თეორია, უეჭველად მართალია თავის დადებითს, მაგრამ ამავე დროს, უეჭველად მცდარია თავის უარყოფითს მტკიცებაში“ (უზნაძე, 1933). თითოეული ცალმხრივი უკიდურესობაა. ნატივისტურმა თეორიამ სოციალური გარემოსა და აღზრდის მნიშვნელობის უარყოფაში ჰპოვა გამოხატვა, ხოლო ემპირისტული თეორია სრულებით არ სცნობდა ინდივიდუალურობას და განვითარების პროცესს მხოლოდ გარემოს უქვემდებარებდა. თანდათანობით ნათელი გახდა, გავრცელებული ალტერნატიული ფორმულირების „ან შინაგანი, ან გარეგანი“ დაძლევა და ერთგვარი სინთეზური თეორიის შემუშავების აუცილებლობა. მით უმეტეს, რომ არსებობდა ემპირიული კვლევებით მოპოვებული დიდი მოცულობის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური მასალა, რომელიც განვითარებაში ენდოგენურ-ეგზოგენური ფაქტორების ერთიანობას ცხადყოფდა.

ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა უილიამ შტერნმა (1871-1938), იზიარებდა რა პოზიციას „შინაგანიც და გარეგანიც“, შეიმუშავა კონვერგენციის თეორია, რომელიც ნატივისტურ და ემპირისტულ თეორიათა კომპრომისული ვარიანტს წარმოადგენს. იგი აღნიშნავდა, რომ თუ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისიდან თითოეულს სერიოზული საფუძველი აქვს, ჭეშმარიტება მათ შეერთებაში უნდა მდგომარეობდეს. განვითარება არც თანდაყოლილი თვისებების უბრალო გამოვლინებაა და არც გარე ზემოქმედების უბრალო აღქმა. განვითარება შედეგია შინაგანი მოცემულობის კონვერგენციისა (ლათ. Convercens/convergentis - რაიმე ნიშან-თვისების დამთხვევა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოვლენებში), გარემო პირობებთან. კონვერგენცია ძალაშია, როგორც განვითარების მთლიანი პროცესისათვის, ისე მისი ცალკეული გამოვლინებებისთვის. არც ერთი ფუნქციისა თუ მახასიათებლის შესახებ არ უნდა ვიკითხოთ, გარედან გამომდინარეობს იგი თუ შიგნიდან; კანონზომიერია მხოლოდ კითხვა იმის შესახებ, თუ რა მომდინარეობს მასში გარედან და რა შიგნიდან, იმიტომ რომ მის გამოვლენაში ერთიც მოქმედებს და მეორეც, მხოლოდ სხვადასხვა ჯერზე სხვადასხვა ურთიერთმიზიდვით.

დ. უზნაძის აზრით, კონვერგენციის თეორია ვერ ხსნის განვითარების პროცესის დიალექტიკას. „პრობლემის სიძნელეს ვერც ის აღწევს თავს და საბოლოოდ ორივე ცალმხრივი თეორიის უბრალო ეკლექტური შეერთების მეტს არაფერს იძლევა“. ერთის მხრივ, ის, რომ გარემოს გარეშე არც ერთი ცოცხალი ორგანიზმი არ

ვითარდება და მეორეს მხრივ, ის, რომ სადაც განსავითარებელი არაფერია, იქ არც განვითარებას აქვს ადგილი, ეს მხოლოდ ფაქტის დადასტურებაა. საჭიროა, ამ ორ განცალკევებულ არეში წარმოჩინდეს იმ ურთიერთდამაკავშირებლის არსებობა, რომელიც მათი კონვერგენციის ფაქტს ცხადს გახდის. „კონვერგენციის თეორია ასეთს არაფერს გვაძლევს. იგი მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ განვითარების პროცესში შინაგანი და გარეგანი ორივე აუცილებელი ფაქტორია, თუმცა არსებითად მათ შორის არაფერია საერთო“ (უზნაძე, 1933). ფაქტობრივად, დ. უზნაძემ პირველმა განიხილა შტერნის საყოველთაოდ აღიარებული თეორია მეთოდოლოგიური იმანენტიზმის რაკურსით და ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე, სიღრმისეული განზოგადებით და არა დეკლარაციულ-ნარატიული სახის მსჯელობით, გამოავლინა მასში არსებული წინააღმდეგობა, კერძოდ, „ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების, როგორც სრულიად განცალკევებული, ავტონომიური ერთეულების ერთდროული მოქმედება“ (იმედაძე, 2008). დ. უზნაძის შეფასებით, „კონვერგენციის თეორია თეორეტულად უფრო დაბლა დგას მის მიერ დაწუნებულ თეორიებზე, ვიდრე მაღლა“ (უზნაძე, 1933).

დ. უზნაძემ განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების პრობლემაზე მუშაობა დაიწყო იმ მიზეზის პოვნით და გაცნობიერებით, რომელმაც ცთომილი მიმართულებით წაიყვანა წინარე თეორიები. მან ძირითად ნაკლად მიიჩნია ის გარემოება, რომ ყოველი მათგანი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების პრინციპულ განცალკევებულობას ემყარებოდა. მათი აქსიომატური წანამძღვრის მიხედვით, განვითარების შინაგანი, ანუ მემკვიდრულ-ინდივიდუალური დეტერმინანტი ერთ ცნებად მოიაზრებოდა, ხოლო გარეგანი, ანუ გარემოებით-სიტუაციური, მეორედ. ამასთან, შინაარსი ისე მკვეთრად იყო გამიჯნული, რომ „პირველის გააზრებისას მეორეს ვერსად შეხვდები და მეორის გააზრებისას პირველს“ (უზნაძე, 1933). შესაბამისად, მათი ურთიერთთანხვედრა და ურთიერთის შინაარსზე ზეგავლენის შესაძლებლობაც იმთავითვე აღკვეთილად უნდა ჩათვლილიყო. უზნაძემ განავითარა აზრი იმის შესახებ, რომ შინაგანი პოტენცია და გარემო არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც არსობრივად ურთიერთგანსხვავებული და ურთიერთგანცალკევებული.

ყოველი ცოცხალი ორგანიზმი დაბადებისას მეტ-ნაკლებად დიფერენცირებულ სტრუქტურულ მთლიანობას წარმოადგენს და მისი სიცოცხლის გზა მემკვიდრეობით თანშობილ სტრუქტურათა მომწიფება-განვითარება-დასრულებაში მდგომარეობს. განვითარების პროცესი სწორედ პოტენციების, დიპოზიციებისა და მიდრეკილებების სახით არსებულ ფიზიკურ-მორფოლოგიურ და მშვინვიერ ძალთა აქტუალიზაციად მოიაზრება, ანუ ადამიანი არ არის ერთხელ და სამუდამოდ ჰიპოსტაზირებული არსება და მუდმივ ცვალებადობა-განვითარებას განიცდის. განვითარების არეალი კი გარემო პირობებია. მეტიც, ეს პირობები რომ არ ყოფილიყო, მაშინ განვითარების შესახებ, შეიძლება სრულიადაც არ გვქონოდა საუბარი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, დ. უზნაძე მხედველობის განვითარების მაგალითს განიხილავს. თვალი მემკვიდრეობით თანდაყოლილი ორგანოა. მას მხედველობის შეგრძნების მატარებლად სინათლე აქცევს. ამ გარე პირობის მისი აქტუალიზაცია შეუძლებელია. ამდენად, თვალის არსებობა და ფუნქციობა თავისთავად მოიაზრებს, როგორც შინაგან ანუ მემკვიდრულ სტრუქტურას, ისე შესაბამის გარემო პირობებს ანუ გარკვეული სიხშირის ელექტრომაგნიტურ რხევებს. „უეჭველია, აქ ყოველგვარი საბუთი გვეკარგება, შინაგანად და გარეგანად მოცემულს შორის დემარკაციული ხაზი გავავლოთ“ (უზნაძე, 1933). ამრიგად, **„შინაგანის ცნება უკვე შეიცავს თავის შინაარსში იმას, რასაც გარეგანად თვლიან და პირიქით, გარეგანის იმას, რასაც შინაგანად თვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ცნებათა ურთიერთის გამოთიშვა სრულიად მოუხერხებელია და მაშასადამე, ჩვენს წინაშე შინაგანისა და გარეგანის, თანდაყოლილისა და შეძენილის ცნებათა კოინციდენციის (გერმ. Die Koinzidenz - თანხვდომა), ერთიანობის ფაქტი დგას**“ (უზნაძე, 1933).

კოინციდენციის თეორია, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფრაგმენტული ნაწილი მისი ავტორის ზოგადფილოსოფიური მსოფლმხედველობისა, რომლის მიხედვითაც, სინამდვილე ონტოლოგიურად ერთი მთლიანობაა, რომელსაც უნივერსალური ძალა მართავს. დ. უზნაძის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მსოფლმხედველობის სხვადასხვა ეტაპზე შინაგანის და გარეგანის მთლიანობის დებულების გამოყენება და არგუმენტირება თვისებრივად სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ იდეა ამ ორი განსხვავებული ემპირიული რეალობის მთლიანი და ერთიანი არსებობის ფილოსოფიური გააზრებისა, ყოველთვის უცვლელი რჩებოდა. აღნიშნულის კონკრეტიზაციის ერთ-ერთი სახე სწორედ კოინციდენციის თეორიაა, რომელიც წარმოგვიდგება, როგორც მემკვიდრული და გარემო ფაქტორების ერთიანი, გაუნაწევრებელი მთლიანობის დიფერენციაციით მიღებულ კომპონენტთა ბუნებრივი შესაბამისობისა და ერთიანობის გაცნობიერება.

კოინციდენციის თეორიასთან მიმართებაში, ერთობ მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გააზრებაც, რომ მართალია, ცოცხალ ორგანიზმში იმთავითვე არსებობს, როგორც შინაგანი მახასიათებელი, ისე ის გარემო კომპონენტი, რომელიც მოცემულ სტრუქტურას სჭირდება განვითარებისთვის, მაგრამ არც პირველის და არც მეორის მოცემულობა არ არის აქტუალური. თითოეული მათგანი არსებობს მხოლოდ ტენდენციის სახით ანუ პოტენციურად და სწორედ ამ უკანასკნელში უნდა მოხდეს მათი წვდომა და გაცნობიერება.

საკითხს იმის შესახებ, თანაბრად მოქმედებენ თუ არა განვითარების განმსაზღვრელი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები, ერთის მხრივ, ბავშვის განვითარების ზოგადი ფორმებისა და კანონზომიერებების სიბრტყეში და მეორეს მხრივ, ამა თუ იმ ბავშვის ინდივიდუალური ანუ ტიპური განვითარების ციკლში, დ. უზნაძე ჩვეული გულისხმიერებით ეკიდება. იგი საჭიროდ მიიჩნევს განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორთა ორი, ზოგადი და დიფერენციალური რაკურსით გააზრებას. როგორც

ბიოლოგიურ, ისე გარემოს ფაქტორთაგან, ზოგი მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი და ზოგიც კიდევ დიფერენციალური. განვითარების ზოგადი თვალსაზრისით, ენდოგენური ფაქტორებიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნერვულ სისტემასა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა აპარატს, ხოლო ეგზოგენური ფაქტორებიდან ასაკობრივ გარემოს; განვითარების დიფერენციალური თვალსაზრისით, ენდოგენური ფაქტორებიდან უპირატესია კონსტიტუცია, ეგზოგენურიდან კი ის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომელშიც ამა თუ იმ ბავშვის აღზრდა მიმდინარეობს. უნდა ითქვას, რომ ამგვარ მიდგომას სხვადასხვა საგანმანათლებლო თეორიაში დღესაც ნაკლებად ექცევა ყურადღება. მათი უმრავლესობა აღნიშნულ საკითხს მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით განიხილავს.

მთელი ის თეორიული საფუძველი და შესაბამისად, მოლოდინი, რომელიც წარმართავს პედაგოგიკას, როგორც პრაქტიკულ მეცნიერებას, დარჩება საყრდენგამოცლილი, თუ არ გაცნობიერდა გარემო პირობებსა და შინაგან მიდრეკილებებს შორის ურთიერთმიმართების რაგვარობა. ამის გარეშე, როგორც დ. უზნაძე მიუთითებს, მათ ურთიერთთანხვედრას, შესაძლოა, მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს და აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გარემოს სისტემატიზაციის საფუძვლის არსებობა ეჭვქვეშ დადგეს. „თუ შინაგან პოტენციათა და გარე ზეგავლენის ფორმათა შორის არსებითი კავშირი არ არსებობს, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ერთი სისტემა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მეორე. ასეთ პირობებში ხომ საზოგადოდ შეუძლებელია აღზრდის სისტემის შერჩევაზე ვილაპარაკოთ, ვინაიდან, ცხადია, რომ შინაგან პოტენციათა და გარე გავლენათა რომელობითი დამოუკიდებლობის შემთხვევაში ისინი ურთიერთის მიმართ ინდიფერენტულად და ამდენად ყველანი თანასწორი ღირებულები და დატვირთვის მქონედ იქმნენ მიჩნეულნი“ (უზნაძე, 1933).

ჩვენის აზრით, დ. უზნაძის კოინციდენციის თეორია ქმნის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო სისტემის ფილოსოფიურ საფუძველს და შესაბამისად, განათლების მეცნიერებები, განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებთან მიმართებაში, უნდა ეფუძნებოდნენ მას, როგორც განვითარების პროცესის დიალექტიკის დასაბუთებულად და არგუმენტირებულად ამხსნელს, რათა შეძლონ არა მარტო სასწავლო მასალის მიწოდებისა და ათვისების მრავალმხრივი პროცესის სწორად წარმართვა, არამედ სათანადო უნარ-ჩვევათა გამომუშავებისა და შემდგომში რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფაც.

ყოველი თესლიდან, მასში პოტენციურად არსებულ მონაცემთა კვალობაზე, გარკვეული სახის მცენარე იზრდება, მაგრამ თუ როგორ განვითარდება იგი, ეს უკვე ნაწილობრივაა დამოკიდებული თავად თესლის რაგვარობასა და მახასიათებლებზე. მცენარის საბოლოო დეტერმინაცია გარემო პირობებითაცაა განსაზღვრული. „აჰა, გამოვიდა მთესველი დასათესად. თესვისას ზოგი მარცვალი გზისპირას დავარდა, მოვიდნენ ფრინველები და აკენკეს იგი. ზოგი კლდოვანზე დავარდა, სადაც მიწა ბევრი არ იყო და მალე აღმოცენდა, ვინაიდან ნიადაგს სიღრმე არ ჰქონდა. ხოლო მზე რომ ამოვიდა, დაჭკნა და რაკი ფესვი არ ჰქონდა, გახმა. ზოგი ეკლებში ჩავარდა; გაიზარდა ეკლები და მოაშთო იგი. ზოგი კი პოხიერ მიწაზე დავარდა და ნაყოფი გამოიღო: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი, ზოგმა ოცდაათი. ვისაც ყურნი აქვს, ისმინოს!“ (ბიბლია განმარტებებით, 2019). მაქსიმალური შედეგის გამოსაღებად, თესლი სათანადო, მისი შინაგანი მოცემულობის შესატყვის ნიადაგში უნდა მოხვდეს. ე.ი. გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ერთიანობა, რომელიც თესლის პოტენციასა და შესაბამის გარემოს აკავშირებს.

დასკვნა

განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებთან დაკავშირებით შექმნილი ურთიერთმონათესავე და ურთიერთგამომრიცხავი თეორიების ნაირსახეობანი, რომელთაგან ზოგი ერთფაქტორიანია (განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად აღიარებს ან მემკვიდრეობით თანშობილ სტრუქტურებს, ან გარემო პირობებს), ხოლო ზოგი ორფაქტორიანი (განვითარების განმსაზღვრელად მოიაზრებს გენეტიკური და გარემო პირობების ერთობლიობას), მხოლოდ ფაქტის კონსტანტაციას ახდენენ, ვერ სწვდებიან განსხვავებულ ფაქტორთა ურთიერთმიმართების კანონიკას და ერთ სტრუქტურად გაერთიანების მექანიზმებს. მათგან განსხვავებით, კოინციდენციის თეორია ინდივიდუალურ-მემკვიდრულ და გარემოებით-სიტუაციურ დეტერმინანტებს შორის კავშირის რაგვარობას აღწერს და ხსნის. იგი ეფუძნება იდეას მათი ერთიანი, გაუნაწევრებელი მთლიანობის შესახებ და ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ბიოლოგიურ მემკვიდრეობაში პოტენციურად მოცემული ადამიანური მიდრეკილებები/დისპოზიციები, ისწრაფვიან რა აქტივიზირებისკენ, თავის შესატყვის ანუ ბუნებრივად განსაზღვრულ გარემო პირობებში ჰპოვებენ სათანადო რეალიზებას. აღნიშნულის საფუძველზე გასაგები ხდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მნიშვნელოვნება და დანიშნულება.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. ბიბლია განმარტებებით, ტომი I, გამომცემლობა პალიტრა L, 2019, თბილისი;
2. იმედაძე, ი., 2008: ფსიქოლოგიის ისტორია, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი;
3. მაღრაძე, მ., ფანჩულიძე, ს., 2010: კოინციდენციის თეორია და მისი გამოყენება თანამედროვე სკოლაში, ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტი „ლამპარი“, პროფესორ-მასწავლებელთა მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები.
4. უზნაძე, დ., 1933: პედოლოგია, თბილისი;
5. ჩხარტიშვილი, შ., 1974: აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. Завадовский, М., 1927: Внешние и внутренние факторы развития;
7. Stern, W., 1908: Tatsachen und Ursachen der seelischen Entwicklung;
8. Stern, W., 1923: Die menschliche Persönlichkeit.